ხელშეკრულება # 6

ქ. სამტრედია 03 იანვარი 2018 წელი

ერთის მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი) შპს „სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია და მეორეს მხრივ (შემდგომში „შემსყიდველი") სსიპ ქალაქ სამტრედიის #11 საჯარო სკოლა, დირექტორი ლ. ხაჟალია აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1, ხელშეკრულების საფუძველი

1,1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" .

1,2 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება.

2, ხელშეკრულების ობიექტი

2,1 ხელშეკრულების (შესყიდვების) ობიექტია: გაზეთი "სამტრედიის მაცნე" CPV22210000

წარმოების ქვეყანა/ მწარმოებელი საქართველო,; ვარგისიანობის-ვადა ერთი წელი.

3, ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3,1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით).

3,1,1 ერთეულის ფასი შეადგენს 0,50 თეთრს.

3,2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება ერთეულის ფასის შემცირება;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

4, ხელშეკრულების კონტროლი

4,1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს _ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც „საქონლის" მიღებისას განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4,2 ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს".

5, შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5,1 „საქონლის" ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „შემსყიდველის" მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და დადგენილ სტანდარტებს.

5,2 „საქონლის" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6, საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

6,1 „საქონლის" მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად და/ან ეტაპობრივად, „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად. „საქონლის საბოლოო მიწოდების ვადაა 31 დეკემბერი 2018 წლის ჩათვლით.

6,2 „საქონლის" მიწოდებისას „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6,2,1, „მიმწოდებლის" სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

6,3 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა „საქონლის" დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა „შემსყიდველის" მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება „მიმწოდებელს".

6,4 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული კოორდინატორის ან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტით (რომელიც შედგენილი იქნება მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის და შესაბამისი საერთო ფასის მიხედვით).

7, საქონლის ვარგისიანობის ვადა

7,1 „მიმწოდებელი" ვალდებულია მოწოდებული „საქონლის" წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ განახორციელოს წუნდებული „საქონლის" შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8, ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8,1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე „საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

8,2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

8,3 „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი გარანტიის (საბანკო, სადაზღვევო ან სხვა) საფუძველზე განხორციელების წინასწარი ანგარიშსწორება.

9, მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9,1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „საქონლის" ხარისხის, საქონლის ვადის ან/და მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში.

9,2"შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9,3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" „საქონლის" ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.

9,4 „მიმწოდებელი" ვალდებულია: უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის „საქონლის" მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

10, პირგასამტეხლო

10,1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის, ასევე მე-9 მუხლით გათვალისწინებული სხვა პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10,2 ხელშეკრულების მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევათა გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10,3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მეორე მხარეს აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10,4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10,5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11, დაუძლეველი პირობები

11,1 ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

11,2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი:

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილებაა და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა. რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

11,3 დაუძლეველი პირობები, მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

11,4 დაუძლეველი პირობები მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთარსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

12, ხელშეკრულების შეწყვეტა

12,1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12,2 ხელშეკრულების 12,1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.

12,3 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13, დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13,1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13,2 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13,3 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

14, ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14,1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

14,2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 იანვრამდე ჩათვლით.

14,3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

14,4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

15, დამატებითი პირობები

16,1 ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს".

17, მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"	„შემსყიდველი"
შპს „სამტრედიის მაცნე"	სსიპ ქალაქ სამტრედიის
ქ. სამტრედია რესპუბლიკის 6	#11 საჯარო სკოლა
სს. თიბისი ბანკი	სს „თიბისი ბანკი" ანგ.#GE60TB7606433020100001
ანგ.#GE04TB7878436060100001	ს/კ 238762987
ბანკის კოდი TBCBGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ს/კ 238768455	
დირექტორი /ზ. გოგია/	დირექტორი /ლ. ხაჟალია/

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0355053308

2	24/01/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	11:31:18

დრო (საათი, წუთი)

4	შპს სამტრედიის მაცნე	238768455

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა	238762987

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების სარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	გაზეთი "სამტრედიის მაცნე"	01	ცალი	72.0000	0.5000	36.0000

13	36 - ოცდათექვსმეტი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	24/01/2018	11:31:18

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 31/01/2018, 13:07:47